ვახტანგ ნანიტაშვილი
რადიოჟურნალისტი, პროდიუსერი

მეოთხე ხელისუფლება და ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობისთვის

საკვანძო სიტყვები: ფაქტი, მოვლენა, დრო, საქართველო, სიმართლე, მეოთხე ხელისუფლება

ჟურნალისტი თანამედროვეობის მემატიანეა. თუმცა, მას არ ძალუძს მიმდინარე მოვლენების სრულყოფილი შეფასება, რადგან ის ადამიანია, აქვს ემოცია, ამბისადმი საკუთარი დამოკიდებულება.

ერთი ხედავს ნახევრად ცარიელ ჭიქას...

მეორე – ნახევრად სავსეს...

ამ დროს, ორივე მართალია.

მოვლენის ზუსტი შემფასებელი დროა.

უემოციო ჟურნალისტიკა არ არსებობს. ამიტომ მიმდინარე მოვლენების მიუკერძოებელი აღქმა, თითქმის, წარმოუდგენელია. მითუმეტეს, ისეთი ქარტეხილებით სავსე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში. აქ მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება. როცა ამ დიდი სპექტაკლის მონაწილენი „სცენაზე“ არიან, გინდა თუ არა, უნდა გაითვალისწინო ეს ვითარება, როგორც პროფესიონალმა ჟურნალისტმა. ნებისმიერი შეფასება ყურადსაღები და მნიშვნელოვანია არსებულ რეალობაში. დღევანდელი განზოგადება, ადვილად შესაძლებელია, რამდენიმე წლის შემდეგ მცდარი აღმოჩნდეს. არა იმიტომ, რომ მაშინ შეც-

BRAMS Journal No. 8
2023 Volume 4, Issue 1/2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დი ფაქტის შეფასებისას და მხოლოდ მოგვიანებით მიაგენი სიმართლეს, არამედ განვითარებული მოვლენების ანალიზმა დაგანახა, რაღაც დაძველდა. რასაც ადრე სწორად და მისაღებად თვლიდი, დრომ თვითონ უარყო.

მოვლენებს მიდევნებული ჟურნალისტური თვალი უნდა აღწერდეს და აფიქსირებდეს ყოველივეს. განმსაზღვრელი კი დროა. როცა რამდენიმე თაობა შეიცვლება, მაშინ შეფასებაც უფრო სრულყოფილი იქნება. თუ 1918-1921 წლების ქართულ პრესას გავაანალიზებთ, ემიგრანტულ ჩანაწერებს საუკუნის გადასახედიდან შევაფასებთ, „ცივ გონებაზე“, თვითმხილველთა გარეშე, დღეს გაცილებით მეტის და სრულყოფილად დანახვა შეიძლება, ვიდრე XX საუკუნის პირველ ნახევარში.

ნებისმიერი ეპოქა სვამს კითხვას.

ნებისმიერი ეპოქა ითხოვს პასუხს ამ შეკითხვაზე.

რატომ დაწერა დავით აღმაშენებელმა „გალობანი სინანულისანი“?

რატომ უარყვეს ილიას გზა შთამომავლებმა?

ვინ იყო სტალინი? ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა საბჭოთა ლიდერის გარდაცვალებიდან, ინტერესი კი მისი პიროვნებისა და საქმიანობისადმი არ ნელდება.

რატომ ხვდა ასეთი ტრაგიკული ბედი ზვიად გამსახურდიას?

რა იყო ედუარდ შევარდნაძის მიზანი? როგორი სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყო?

რა შემატა საქართველოს ისტორიას მიხეილ საკაშვილმა?

დამოუკიდებლობადაბრუნებული საქართველოს დღევანდელობაში ეს ყველაზე რთული კითხვებია, რომელთაც პასუხად უამრავი ვერსია გამოუჩნდა. ზოგი უკვე

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

არსებობს, ზოგს დრო სჭირდება.

1989 წლის 9 აპრილმა უმთავრესი გარდატეხა მოახდინა ქართული საზოგადოების თითოეული წევრის ცნობიერებაში. ამ სიტყვების წერისას, ალბათ, ჩემეულ, მრავლიდან ერთ-ერთ ვერსიას ვაყალიბებ. მახსოვს, რადიოგადაცემა „პიკის საათის“ მორიგი გამოშვება ასეთი ფრაზით დავიწყეთ: „ჩვენი ცნობიერება ორად გაიყო – 9 აპრილამდე და 9 აპრილის შემდეგ“... დღესაც ასე ვფიქრობ.

მოვლენები უსწრაფესად ვითარდება. დამოუკიდებლობასთან ერთად, სახელმწიფო წყობაც იცვლება.

მზად ვიყავით ამისათვის?

ვიცოდით კი, როგორ უნდა გვემოქმედა?

დღეს ასეთ კითხვებზე პასუხი, თითქოს, არსებობს. თუმცა, რამდენად სწორია ისინი?

რუსეთის ფაქტორის სრულად გაუცნობიერებლობამ, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის ეფემერულმა იმედმა, საკუთარი შესაძლებლობების არასწორად, ხშირად, გადამეტებულად შეფასებამ, ვფიქრობ, დათვური სამსახური გაგვიწია. მიუხედავად ამისა, მაინც შევძელით XXI საუკუნეში შებიჯება დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით. მართალია, ტერიტორიებდაკარგული, წყობამოშლილი, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი საქართველო გვაქვს. სამი ათეული წელიწადია, ერთი კითხვა მუდამ თან მდევს: მზად არის თუ არა განვითარებული მსოფლიო, რომ ჩვენნაირი პატარა ქვეყანა თავისუფალი, ძლიერი და იმედიანი სახელმწიფოს სახით მიიღოს? მისი სუვერენიტეტი რეალურად აღიაროს? ფაქტია, 1918-ში, მზად არ იყო. ეს ჩვენზე არაა დამოკიდებული. მსოფლიოს ნამდვილ პოლიტიკურ ნებას

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

საქართველოსთან დაკავშირებით, დაახლოებით, 50-70 წლის შემდეგ შეიტყობენ ჩვენი შთამომავლები.

1990-იან წლებში ერთმა ფრიად გავლენიანმა პირმა, რომლის ავტორიტეტი თითქმის განუსაზღვრელი იყო, სრულიად გულწრფელად აღიარა: „როცა ამერიკა სახელმწიფოდ ყალიბდებოდა, საზოგადოების ერთმა ნაწილმა ძარცვა-გლეჯვით, უკანონოდ იშოვა პირველი კაპიტალი. თაობებმა კი ეს ყველაფერი დააკანონა, კეთილშობილი თაობები გაჩნდნენ“. ეს პოსტულატი უმტკივნეულოდ, კრიტიკის გარეშე მივიღეთ. ნუთუ, სხვაგვარად არ შეიძლებოდა? იქნებ, მკაცრი და სამართლიანი ხელი უფრო გამოდგებოდა, ვიდრე ანარქიამდე მისული დემოკრატია?

ამას დრო გვიჩვენებს, რადგან... დრო მიდის.

9 აპრილის შემდეგ, ქართულ ჟურნალისტიკაში ის მოხდა, რაზეც თაობები ოცნებობდნენ. როცა სუფთა ჰაერი ვიგრძენით, პროფესიას თავიდან დავეუფლეთ. შანსი გაგვიჩნდა, უფრო საინტერესო გაგვეხადა ჩვენი საქმიანობა. თითქოს, სიტყვამ სხვა ფასი შეიძინა და ნაბიჯიც გადავდგით იმ „ხელისუფლებისაკენ“, რომელსაც მეოთხეს უწოდებენ. რა ძალაუფლებაა ეს? გავლენის ძალაუფლება, კრიტიკის ძალაუფლება. იგი უფრო ღიას ხდის საზოგადოებას, აჯანსაღებს მას, აზრთა ჭიდილს იწვევს.

ძალაუფლება დასახული მიზნის მისაღწევი გზაა. 9 აპრილმა იმდენად დააჩქარა მოვლენები, რომ საბჭოთა იმპერიის კრახი გარდაუვალი აღმოჩნდა. სწორედ ამ გარემოებამ აიძულა „პიკის საათი“ 180 გრადუსით შეცვლილიყო: ისეთი პოლიტიკური პროგრამა გახდა, სადაც ანალიზი და თამამი კრიტიკა ყოველდღიურ, აუცილებელ ნორმად ჩამოყალიბდა. უკვე აღარ არსებობდა დაფარული და აკრძალული თემები. „ადამიანის უფლებათა საყოველ-

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

თაო დეკლარაციაში“ წერია: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დამოუკიდებლად მისდიოს მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად“. ეს უფლება მუდამ უნდა ახსოვდეს ჟურნალისტს, რადგან იგი საშუალებას აძლევს, კანონის ფარგლებში ემსახუროს საზოგადოებას და საკუთარ სინდისს. თუმცა, ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა. დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება ანგარიშსწორების საგანი არ უნდა გახდეს.

1989 წლის 9 აპრილის შემდგომ დღეებში ვიგრძენით, ჩვენი ჟურნალისტური საქმიანობით უფრო საჭირონი გავხდით, ვიდრე ადრე ვიყავით. რაც მთავარია, მთელი საქართველო იყო კონსოლიდირებული, ერთიანი, რაც სანატრელი გაგვიხდა მოგვიანებით.

ერთი წლის შემდეგ, 1990 წლის 26 მაისს, გადავწყვიტეთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღგვნიშნა „პიკის საათის“ სპეციალური გამოშვებით. ექვსსაათიანი პირდაპირი ეთერი, რომელიც 25 მაისს ღამის 12 საათზე დაიწყო და 26-ის დილამდე გაგრძელდა, საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამის ფორმატში განხორციელებული ყველაზე სრულყოფილი გამოშვება გამოგვივიდა. გარდა იმისა, რომ მასში მონაწილეობა მთელმა ახლადფეხადგმულმა ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა მიიღო და აზრთა თავისუფლებას ცენზორი არ ჰყოლია, მუსიკალურადაც ორიგინალურად გადავწყვიტეთ. მთელი გადაცემის განმავლობაში ჟღერდა მუსიკა ცოცხალი შესრულებით, რაც მანამდე არასოდეს გვიცდია.

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ამასთან ერთად, მსმენელთა სატელეფონო ჩართვები გამოვიყენეთ. ესეც იშვიათობა იყო იმ დროს. გადაცემა უპრეცედენტოდ საინტერესო, თან – კორექტული გამოვიდა.

ახლა გამიჭირდება გადაცემის მონაწილეთა გვარების სრულად ჩამოთვლა. ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: სტუმართა შორის უნდა ყოფილიყო საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია. იგი წინასწარ დაგვპირდა სტუდიაში 12 საათზე მოსვლას. მართლაც, 12 საათზე მოვიდა, ოღონდ, 26-ში, როცა გადაცემა უკვე დამთავრებული იყო. ეტყობა, კოლეგამ არ გააფრთხილა, რომ გადაცემა 25-ში იწყებოდა ღამის 12 საათზე. თუმცა, რადგან ბატონი ზვიადი გვეწვია, შემთხვევით ვისარგებლეთ და ერთსაათიანი ინტერვიუ ჩავწერეთ მასთან, რომელიც გადავეცით „პიკის საათის“ ეგიდით გამომავალ ღამის პროგრამაში „კვირაძალს“. სამწუხაროდ, ეს ჩანაწერი შემდეგ გაქრა... ისევე, როგორც ზვიად გამსახურდიას სხვა არაერთი ჩანაწერი.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ეროვნული მოძრაობის ლიდერები, მათ შორის, ზვიად გამსახურდია, საპყრობილეში აღმოჩნდნენ. სწორედ ეს ეპიზოდი გაიხსენა ბატონმა ზვიადმა 1990 წლის 26 მაისს ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში: „ციხეში ჩემი ყოფნისას „პიკის საათის“ გამოშვებებს ვუსმენდი. იგი სიმართლეს და მიუკერძოებელ ინფორმაციას აწვდიდა მილიონობით მსმენელს“. ამის გამო მადლობა გადაგვიხადა.

„პიკის საათის“ ღამის შემოქმედებიდან კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი დეტალი მინდა გავიხსენო. გადაცემაში დებატებიც იყო, ცხარე კამათიც, მუსიკაც და ღიმილიანი წუთებიც. სიმართლე ითქვას, იმ პერიოდში ბოლომდე

BRAMS Journal No. 8 ISSN 2667-9299 (print)
2023 Volume 4, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

განთავისუფლებული ჯერ არ ვიყავი შინაგანი ცენზორი-სგან. როცა ნუგზარ ერგემლიძემ „პიკის საათის“ პირდა-პირ ეთერში ლენინზე ანეკდოტების მოყოლა დაიწყო, გა-ვიფიქრე, ახლა დარეკავენ და გაგვითიშავენ ეთერს... არ დაგავიწყდეთ, ჯერაც საბჭოთა ეპოქა იდგა. ჯერ კიდევ მძლავრობდა საბჭოთა მენტალიტეტი.

არავის დაურეკავს!

ლიტერატურა ▫ References

1. 40 წელი – ქართული რედაქცია, რადიო „თავისუფლება“: 1953-1993 (1993), საიუბილეო კრებული, წინასიტყვაობის ავტორი – გულნარა ურატაძე, მიუნხენი: დავით თაბორიძის გამოცემა.
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია [https://docs.google.com/file/d/0B1V5H73q-0DiMmFsWjk5STJrbUE/edit?resourcekey=0-BBpiV1AewGfHMpPBzBiSSg].
3. ამირხანაშვილი კობა (2015). საქართველოს პარლამენტის წევრები 1990-2015. თბილისი: სს „სახე(ლ)ები“.
4. ბართაია ნომადი (2020). ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან: 1988-1993, თბილისი: „ინტელექტი“.
5. გამსახურდია ზვიად (დ. 31 მარტი, 1939 – გ. 31 დეკემბერი, 1993) – საქართველოს პრეზიდენტი (1991-1992), მეცნიერი, მთარგმნელი, მწერალი; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1991); ნობელის პრემიის ოფიციალური ნომინანტი მშვიდობის დარგში 1978 წელს (წარადგინა აშშ-ის კონგრესმა) [nplg.gov.ge/bios/ka/00000874/].
6. გამსახურდია ზვიად (1990). საქართველოს სულიერი მისსია. თბილისი: „განათლება“.
7. გეგეშიძე მიხა (2016). პოლიტიკური დისკოთეკა (რადიო „ამერიკის ხმის“ რეპორტაჟები). თბილისი: „საარი“.
8. დავით IV აღმაშენებელი (XI-XII სს.). გალობანი სინანულისანი [nplg.gov.ge/ebooks/authors/david_aghmashenebeli/galobani%20sinanulisani.pdf].

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

9. ერგემლიძე ნუგზარ (დ. 1 მაისი, 1955) – ქართველი მომღერალი, კომპოზიტორი, სიმღერათა ტექსტების ავტორი, მწერალი, დიზაინერი, პოლიტიკოსი (საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი (2008-2012) [nplg.ge/bios/ka/00001290].
10. ზვიად გამსახურდია: 79 ამბავი (მოგონებები) (2018). შემდგენელები: ნინო ოდილავაძე და კახმეგ კუდავა, თან საკითხავი, თბილისი: „არტანუჯი“.
11. ზვიად გამსახურდია 80 (2019). კატალოგი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გიორგი კალანდიამ, თბილისი: საქართველოს ხელოვნების სასახლე.
12. კეკელია ნინო (2018). ბოლომდე სათქმელი სიმართლე (კრებული). თბილისი: „სვეტი +“.
13. ლომოური ნოდარ (2011). საქართველო წარსული საუკუნის ბოლოს და ედუარდ შევარდნაძე. თბილისი: „უნივერსალი“.
14. ნიჟარაძე ენვერ (2016). ზვიად გამსახურდია. თბილისი.
15. სააკაშვილი მიხეილ (2001). გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის: სტატიები, პუბლიკაციები, გამოსვლები. რედაქტორი – დავით ზურაბიშვილი, თბილისი.
16. სააკაშვილი მიხეილ (2019). ძალის გამოღვიძება. რედაქტორი – მიხეილ ანთაძე, თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.
17. სანებლიძე არმაზ (2018). ეს იყო (პუბლიკაციები ედუარდ შევარდნაძეზე). რედაქტორი – ნუგზარ ფოფხაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“.
18. სტალინი, იოსებ ჯუღაშვილი (დ. 21 დეკემბერი, 1878 – გ. 5 მარტი, 1953) – პოლიტიკოსი, რევოლუციონერი, პროპაგანდისტი, სსრკ ბელადი, ავტორი, მწერალი, გამომცემელი [nplg.gov.ge/bios/ka/00008969/].
19. შევარდნაძე ედუარდ (დ. 25 იანვარი, 1928 – გ. 7 ივლისი, 2014) – ქართველი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე (1992-1995), საქართველოს პრეზიდენტი (1995-2003) [nplg.gov.ge/bios/ka/00001162/].
20. შევარდნაძე ედუარდ (2003). დიდი მაგალითები. შემდგენელ-რედაქტორი – კობა იმედაშვილი, თბილისი: „ჯი ეი თი“.

21. შევარდნაძე ედუარდ (2006). ფიქრი წარსულსა და მომავალზე: მემუარები. მთავარი რედაქტორი – კობა იმედაშვილი, თბილისი: „პალიტრა L“.
22. შევარდნაძე ედუარდ (1992). ჩემი არჩევანი: დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად. თბილისი: „განათლება“.
23. შველიძე ერეკლე (2022). საქართველოს საგარეო ორიენტაცია და პოლიტიკა ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში (მონოგრაფია). თბილისი: „მერიდიანი“.
24. შონია ჯემალ (2020). სიმართლე და სიცრუე ქართული სახელმწიფოსა და დემოკრატიის თანამედროვე პრობლემებზე. თბილისი: „უნივერსალი“.
25. ჭავჭავაძე ილია (1862). საქართველოს მოამბეზედ [https://iliachavchavadze1837.wordpress.com/2013/11/12/saqarthvelos-moambezed/].
26. ხაზის რადიო – ქართული პრესა 1918-1921 წლებში (18 მაისი, 2018). ავტორები – ნინო დათუკიშვილი და ეკა ტალახაძე, გადაცემის სტუმარი – მარი წერეთელი [https://1tv.ge/audio/khazis-radio-qartuli-presa-1918-1921-wlebshi/].
27. ჯანელიძე ოთარ (2008). ილიას გზა. ჟურნალი „ანალები“, №2.
28. De Graff, Dachi (2020). Rediscovering ‘Europe’s hidden gem’. *BRAMS*, 1(2), pp. 72-98, 124-127. [ORCID: 0000-0001-5838-9440]
29. Nadare, Maia (2021). *Deontology through the international media law*. Tbilisi: Publishing House Universal (In Georgian).
30. Nadare, Maia (2020). *The Media Mill: Political Communication*. Tbilisi: Publishing House Universal (In Georgian).
31. Zurabishvili, Nana (2019). *From the Iron Curtain to the Silk Road: Eduard Shevardnadze’s political career*. Compiled by Nana Zurabishvili, translated in English by Irakli beridze, edited by Susanne Chanon, Tbilisi: Manana Shevardnadze & Cezanne.
32. Universal Declaration of Human Rights (UDHDR). United Nations: Peace, dignity and equality on a healthy planet [https://www.un.org/en/about-us/universal-declaration-of-human-rights].

Vakhtang Nanitashvili
Radio journalist, producer

THE FOURTH ESTATE AND THE FIGHT FOR GEORGIAN STATEHOOD

(Abstract)

KEYWORDS: Fact, Event, Time, Georgia, Truth, The Fourth Estate

9 April 1980 marked a pivotal turning point in the consciousness of Georgian society. The radio programme *Prime Time* (*Pikis Saati*) began with the powerful phrase, "Our consciousness was divided into two—before 9 April and after 9 April." This statement perfectly encapsulates the essence of this transformative moment.

Events unfolded rapidly. Alongside our pursuit of independence, the structure of the state began to change. Were we prepared for this? Did we even know how to respond? By its very nature, journalism is inherently emotional. While it may seem that we have answers to these questions today, the accuracy of those answers remains uncertain. Following 9 April, the Georgian media experienced a significant transformation, realising the aspirations of generations. It felt like taking a breath of fresh air as we rediscovered our profession; words took on a fresh meening when we embraced what we came to recognise as the Fourth Estate.

With a sense of liberation, Georgian journalism took flight, freed from the Soviet control and censorship that had suffocated

independent or national expression. Journalists now had the will and the freedom to contemplate the true significance of the word—a critical power embodied by the Fourth Estate. No longer were we Soviet journalists devoid of nationality and exploited by the Communist Party; after 9 April 1989, we became the journalists of Georgia, pondering a pivotal question: What empowers us to embody the Fourth Estate, and how can it be harnessed to serve our country in achieving complete independence?

This power lies in our ability to analyse, critique, and influence. It fosters a more rational society, promotes healing, sparks debate, and nurtures individual development within the community. It plays a vital role in promoting independence for our nation and upholding the constitutional right to exist free from foreign control. Georgia has fought for these rights throughout history, and we are acutely aware of the protracted struggles endured by previous generations. Yet, after 9 April, we began to recognise the weight of the living history we were shaping, understanding that we were responsible for developing it for ourselves and future generations.

Journalism became our guiding light in the quest to break free from the Soviet Union and reclaim our independence. The events of 9 April accelerated this trajectory, making the collapse of the Soviet empire inevitable. This dramatic shift prompted a transformation in our programme *Prime Time*, which evolved into a political platform where analysis and bold criticism became commonplace. No longer were there hidden or forbidden topics. Although the USSR continued

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

to exist until 1991, Georgia embarked on a new path, resolutely discarding any remnants of Soviet influence within our borders.

Article 2 of the Universal Declaration of Human Rights states: "Everyone is entitled to all the rights and freedoms outlined in this Declaration, without distinction of any kind…" Georgia regained its independence from the Soviet Union at a profound cost. As such, every journalist must remain mindful of these human rights, which empower us to serve society and uphold our conscience within the bounds of the law. This responsibility is significant; we should never use democracy and freedom of speech as tools for retribution. As a professional journalist, I take pride in being part of the first generation of Georgian journalists who played a pivotal role in shaping Georgian statehood as the Fourth Estate.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)